სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-16/18

20 თებერვალი, 2026 წელი

ციფრული ობიექტების იდენტიფიკატორების (DOI) და მეტამონაცემების რეესტრში - Crossref ბსუ-ს საწევრო გადასახადის გადახდის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფუძნდა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი OJS-სისტემაში, რომელიც გამოიცემა პერიოდულად და ხელს უწყობს ბსუ-ს ცნობადობის გაზრდასა და პოზიციონირებას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. ჟურნალის პლათფორმაზე (ojs.bsu.edu.ge) განთავსებულ სტატიებზე ხდება DOI (Digital Object Identifier) კოდების მინიჭება, რომელიც წარმოადგენს ბმულს (ლინკი) და მისი მეშვეობით შესაძლებელია კონკრეტული სტატიის ინტერნეტში სწრაფი მოძებნა, სხვადასხვა სამეცნიერო პლათფორმებზე ინფორმაციის ავტომატური მიწოდება. DOI კოდების გენერაცია ხდება სისტემა crossref-ის (https://www.crossref.org/) მიერ, რომელიც დაკავშირებულია ojs.bsu.edu.ge-სთან და ავტომატურ რეჟიმში ხდება სტატიებზე DOI კოდების მინიჭება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაწევრიანებულია crossref სისტემაში, წევრობას აქვს ყოველწლიური საწევრო გადასახადი, მიმდინარე ეტაპზე, crossref-ის მიერ სისტემაში ატვირთული ინვოისების შესაბამისად, ბსუ-ს საწევრო გადასახადი შეადგენს 356,35 დოლარს. სტატიების OJS-სისტემის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში ასახვისა და „ojs.bsu.edu.ge" პლატფორმის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭიროა crossref სისტემის საწევრო გადასახადის - 356,35 დოლარის გადახდა, რომელიც უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, უნაღდო ანგარიშსწორებით (ბიზნეს ბარათით) ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის - „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა" ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის N07-01/39 გადაწყვეტილების, ,,ციფრული ობიექტების იდენტიფიკატორების (DOI) და მეტამონაცემების რეესტრში - Crossref ბსუ-ს გაწევრიანებისა და საწევროს გადასახადის შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N07-01/49 გადაწყვეტილების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის ნანა თავდგირიძის 2026 წლის 16 თებერვლის №169946 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ციფრული ობიექტების იდენტიფიკატორების და მეტამონაცემების რეესტრში crossref სისტემის საწევრო გადასახადის გადახდის, სამეცნიერო სტატიების OJS-სისტემის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში ასახვისა და ბსუ-ს პლათფორმაზე (ojs.bsu.edu.ge) განსათავსებელ სტატიებზე DOI (Digital Object Identifier) კოდების მინიჭების მომსახურების

გამარტივებული შესყიდვის მიზნით (CPV48610000), ინტერნეტით გამოწერის გზით განხორციელებისათვის დაევალოს:

ა) ბსუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს 356,35 (სამასორმოცდათექვსმეტი დოლარი და 35 ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადატანა ბსუ-ს კორპორატიულ (ბიზნეს) ბარათის ბალანსზე;

ბ) ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, ზვიად ბერაძეს კორპორატიულ (ბიზნეს) ბარათის გამოყენებით, crossref სისტემის მიმდინარე წლის საწევრო გადასახადის გადახდა, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის ნანა თავდგირიძის მიერ სამსახურებრივი ბარათით (№169946; 16/02/2026) წარმოდგენილი ინვოისების შესაბამისად, ერთჯერადად და შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის.

გ) ბსუ-ს შესყიდვების სამსახურს შესყიდვის განხორციელების შესახებ ანგარიშის წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბუბა დიასამიძე